

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შეცვლის ინსტრუქცია:

- გრაფაში „აღნიშვნა შესრულების თაობაზე“ - მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი შედეგიდან: „შესრულებულია“; „არ არის შესრულებული“; „შესრულებულია ნაწილობრივ“;
- გრაფაში „შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების მიზეზი“- მიეთითება ის გარემოება/რისკ-ფაქტორი, რის გამოც ვერ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა მოცემული აქტივობა. ამავე გრაფაში მიეთითება მოცემული აქტივობის რელევანტურობა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში;
- გრაფაში „შესრულების აღწერა“- მოკლედ მიეთითება თითოეულ კვარტალში მოცემული აქტივობის ფარგლებში შესრულებული სამუშაო.

N	აქტივობის დასახელება	აღნიშვნა შესრულების თაობაზე	შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების მიზეზი	შესრულების აღწერა	შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
სტრატეგიული მიმართულება 1. უწყვეტი განათლების (Continuing Education) და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების (Life Long Learning) პრინციპების მხარდაჭერა					
სტრატეგიული მიზანი - ლიცეუმის ორიენტირება პიროვნების განვითარებაზე და კომპეტენციების სრულყოფაზე. უწყვეტი განათლების (Continuing Education) და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების (Life Long Learning) კონცეფციის პოპულარიზაცია, კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის და ინოვაციების გაზიარების მოტივაციის ჩამოყალიბება.					
სტრატეგიული ამოცანა - უწყვეტი განათლების მიღების ხელშეწყობა, მიღწეული კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის მოტივაციის ჩამოყალიბება, სწავლის სუბიექტთა შემეცნებით საქმიანობის წახალისება.					
ღონისძიება 1. კურიკულუმისგან დამოუკიდებელ შემეცნებით, ან/და პრაქტიკულ პროექტებში ლიცეუმის სწავლების სუბიექტთა ჩართულობის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება;					
1	აქტივობა №1.1 - ინტელექტუალური თამაშის „ყველაზე კვიანის“ ორგანიზება, განხორციელება	----	არ შესრულდა		-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; -საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
2	აქტივობა № 1.2 - საჯარო ლექცია - სახელწოდებით მათემატიკური Π. ექსტრაკურსული აქტივობა: ქართული ენისასადმი მიძღვნილი კვირეული	შესრულებულია	----	I კვარტალი 14 მარტს, 15:00 საათზე, მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ბიბლიოთეკაში გაიმართა საჯარო ლექცია სახელწოდებით - " მათემატიკური პი". საჯარო ლექციას, რომელსაც უძღვებოდა ლიცეუმის პროფესიული განათლების მასწავლებელი ვახტანგ ბაძალა, ესწრებოდნენ ლიცეუმის მოსწავლეები/პროფესიული სტუდენტები. II კვარტალი მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში ჩატარდა ქართული ენისასადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:	

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>17 აპრილი- კვირეული გაიხსნა. გამოიცა საგაზეთო ნომერი „ენა ბურჯია ერისა“;</p> <p>18 აპრილი-მოეწყო ბარბარიზმების საწინააღმდეგო ღონისძიება „ილაპარაკეთ ოღონდ ქართულად, ოღონდ ... ქართულად ილაპარაკეთ“. ასევე გაიმართა აქცია სახელწოდებით „არა, ბარბარიზმებს!“ ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს კლასის/ჯგუფის კურატორებმა;</p> <p>19 აპრილი- ჩატარდა მხატვრული კითხვის საღამო. მოსწავლეებმა/პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს საკუთარი სურვილით შერჩეული ლექსები, ასევე - ლექსები საკუთარი შემოქმედებიდან;</p> <p>20-21 აპრილი- პრეზენტაციების ჩვენება ქართული ენის დღესთან დაკავშირებით; ღონისძიებაზე ქართული ენისა და ისტორიისა მასწავლებლებმა/პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ისაუბრეს ქართული ენის უნიკალურობასა და სიძველეზე.</p>	
3	<p>აქტივობა № 1.3 - წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე</p>	შესრულებულია	----	<p>I კვარტალი</p> <p>მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში ჩატარდა ქართული ენისასადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:</p> <p>17 აპრილი- კვირეული გაიხსნა. გამოიცა საგაზეთო ნომერი „ენა ბურჯია ერისა“;</p> <p>18 აპრილი-მოეწყო ბარბარიზმების საწინააღმდეგო ღონისძიება „ილაპარაკეთ ოღონდ ქართულად, ოღონდ ... ქართულად ილაპარაკეთ“. ასევე გაიმართა აქცია სახელწოდებით „არა, ბარბარიზმებს!“ ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს კლასის/ჯგუფის კურატორებმა;</p> <p>19 აპრილი- ჩატარდა მხატვრული კითხვის საღამო. მოსწავლეებმა/პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს საკუთარი სურვილით შერჩეული ლექსები, ასევე - ლექსები საკუთარი შემოქმედებიდან;</p> <p>20-21 აპრილი- პრეზენტაციების ჩვენება ქართული ენის დღესთან დაკავშირებით; ღონისძიებაზე ქართული ენისა და ისტორიისა მასწავლებლებმა/პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ისაუბრეს ქართული ენის უნიკალურობასა და სიძველეზე.</p>	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;</p> <p>-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.</p>
4	<p>აქტივობა № 1.4 - პროფესიული სტუდენტების მიერ ინიცირებული აქტივობების განხორციელება</p>	შესრულებულია	----	<p>I კვარტალი</p> <p>1. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის პროფესიული სტუდენტის ნიკა ხარაბაძის 2024 წლის 28 თებერვლის</p>	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;</p> <p>-საზოგადოებასთან</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>„კურიკულუმის გარეშე აქტივობების და ინიციატივების წარდგენის განაცხადის“ და ლიცეუმის კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის 2024 წლის 28 თებერვლის №01-17/88 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ცნობიერების ამაღლების მიზნით ლიცეუმის პროფესიული სტუდენტები დაესწრნენ საჯარო ლექციას თემაზე: „ტოლერანტობა და თანასწორობა“(საჯარო ლექცია), აღიშნული შეხვედრა ჩატარდა ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში მდებარე რელიგიის მუზეუმში.</p> <p>2. 25 მარტს, მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში, სასკოლო პროექტის, „მწვანე მომავლის“ ფარგლებში მოეწყო მეორეული მოხმარების ნივთებისაგან დამზადებული მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა ნაკეთობების გამოფენა. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებმა/პროფესიულმა სტუდენტებმა ინდივიდუალურად წარმოადგინეს მათ მიერ, ნარჩენებისაგან შექმნილი ექსპონატები. მათე ქარჩავამ კი დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა საჯარო ლექცია ბუნების დაცვასთან დაკავშირებით და წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე: "კრეატიული მიგნებები მეორეული მოხმარების საგნების". დასასრულს გაიმართა დებატები, რომელში მოსწავლეებთან/პროფესიულ სტუდენტებთან ერთად მოწვეულმა სტუმრებმა და მასწავლებლებმა/პროფესიული განათლების მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა. პროფესიულ სტუდენტთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაგრძელდა 29 მარტის ჩათვლით.</p> <p>გამოფენის დასასრულს გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამავე სასწავლებლის მოსწავლეებმა/პროფესიულმა სტუდენტებმა და წარმოადგინეს პრეზენტაციები წრიული ეკონომიკისა და ნარჩენების გადამუშავების თემებთან დაკავშირებით. დასკვნით ღონისძიებაში დასასწრებად მოწვეული იყო მხატვარი ანა ნიკოლაიშვილი. ღონისძიებას კოორდინაციას უწევდა სასკოლო პროექტის, „მწვანე მომავლის“ ხელმძღვანელი, სოფიო ნემსაძე.</p> <p>აღიშნული ღონისძიება ინიცირებული იყო ლიცეუმის პროფესიული სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მათე ქარჩავას მიერ 21 მარტის კურიკულუმის გარეშე აქტივობების და ინიციატივების წარდგენის განაცხადის შესაბამისად.</p>	<p>ტრადიციების სამსახური.</p>
5	<p>აქტივობა № 1.5 ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობა</p>	<p>შესრულებულია</p>	<p>----</p>	<p>I კვარტალი 26 აპრილს, მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის</p>	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; -საზოგადოებასთან</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				ფარგლებში, ასევე, ეროვნული პარკების კვირეულის ფარგლებში საჯარო ლექცია გაიმართა. ლექცია მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების უფროსმა სპეციალისტმა, ნინო ფუტყარაძემ ჩატარა, თემაზე "მტირალას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება და ინფრასტრუქტურა". ლექციას ლიცეუმის მოსწავლეები, სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები ესწრებოდნენ. ღონისძიება ორგანიზებას უწევდა სასკოლო პროექტის "მწვანე მომავლის" ხელმძღვანელი სოფიო ნემსაძე და დედამიწის კვირეულის ორგანიზატორი მარინა აბულაძე.	ურთიერთობის სამსახური.
6	აქტივობა № 1.6 - დავითობა-საჯარო ლექცია	შესრულებულია	----	I კვარტალი 8 თებერვალს, მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „დავითობა“. ლიცეუმის მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს მასწავლებლებმა/პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მიაწოდეს ინფორმაცია დავითის ეპოქაზე, მის მიერ გატარებულ რეფორმებზე. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეები/პროფესიული სტუდენტები იმყოფებოდნენ ხართონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში, სადაც მოსმინეს ისტორიკოს, პროფესორ, ოთარ გოგოლიშვილის საჯარო ლექცია, თემაზე „ძლევა მოსილი დავითი“. ღონისძიება ორგანიზებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენათა ინტეგრირებული კათედრის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ.	-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; -საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
ღონისძიება 2. უწყვეტი განათლების (Continuing Education) და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების (Life Long Learning) პრინციპების პოპულარიზაცია;					
7	აქტივობა № 2.1 - საზოგადოებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მოდულების შეთავაზება უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნებისათვის	შესრულებულია	----	I კვარტალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები პოპულარიზაციის მიზნით, სოციალურ გვერდზე (ფეისბუქზე) განთავსდა სამი საინფორმაციო ბანერი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას არსებული პროგრამებისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გარეკლამდა ფეისბუქის საშუალებით და დაახლოებით 14,000 ადამიანამდე მივიდა.	-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
8	აქტივობა № 2.2 - სემინარების/მასტერკლასებისა და ღია კარის დღეების დღეების ორგანიზება სკოლის მოსწავლეებისათვის	შესრულებულია	----	I კვარტალი ექსპო ბათუმის მიწვევით მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მოსწავლეები/პროფესიული სტუდენტები და თანამშრომლები მიმდინარე წლის 9 მარტს ბათუმის სპორტის სასახლეში დაესწრნენ წიგნისა და განათლების მე-2 საერთაშორისო გამოფენას.	-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; -საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>ლონისძიების ფარგლებში ლიცეუმის ბიბლიოთეკამ მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების სურვილების გათვალისწინებით შეიძინა ახალი გამოცემები, რომლებიც გაამდიდრებს ბიბლიოთეკის ფონდს. ლონისძიების მიზანია იყო წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა. სპორტის სასახლეში, საგამოფენო სივრცეში, 35-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ საშუალება, საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან მიეღოთ ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, გრანტების, სტიპენდიების და სტაჟირებების შესახებ.</p> <p>III კვარტალი 12 ივლისს, 2024-2025 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტებისთვის “ღია კარის დღე” გაიმართა.</p> <p>სტუდენტებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. გარდა ამისა, მათ მიეწოდათ ინფორმაცია სწავლის პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართებით. შეხვედრის შემდგომ სტუდენტებთან ხელშეკრულებები გააფორმდა.</p> <p>ამჟამად, მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლება:</p> <p>საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი)</p> <p>გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური (მოტორისტი)</p> <p>საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა (ელექტრიკოსი)</p> <p>აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.</p>	
<p>ლონისძიება 3. მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების გაზიარების მიზნით ლიცეუმში კონფერენციების, ლიცეუმის სწავლების სუბიექტთათვის, პერსონალისა და გარე პირთათვის ტრენინგების, სემინარების, მასტერ-კლასების და სხვ. ჩატარება (ლიცეუმის პერსონალის და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ);</p>					
9	<p>აქტივობა № 3.1 სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება</p>	<p>შესრულებულია</p>	<p>----</p>	<p>II კვარტალი 23 ივნისს, ბნსუ-ს ორგანიზებით სტუდენტთა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში გამეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორმოცდაათამდე სტუდენტი მონაწილეობდა.</p>	<p>- დირექტორი; - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგნენ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის პროფესიული სტუდენტები.</p> <p>საქართველოს გარდა, კონფერენციაში ჩაერთნენ და მოხსენებები წარადგინეს პოლონეთის, ბულგარეთის და უკრაინის უნივერსიტეტების სტუდენტებმა.</p> <p>კონფერენცია მიზნად ისახავდა საზღვაო მეცნიერებების, ლოგისტიკის, მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების განხილვას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთთანამშრომლობის წახალისებას.</p> <p>III კვარტალი</p> <p>1. 2024 წლის 19 ივლისს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობის პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების, ნაშრომებისა და გამოგონებების პრეზენტაცია გაიმართა.</p> <p>პროფესიულმა სტუდენტებმა ღონისძიებაზე წარადგინეს მათ მიერ შექმნილი „მაგნიტურ ბალიშზე მომუშავე ეკონომ ელექტრო აპარატი“, ასევე, ელექტროამმრავის მარტივი სქემის გართულებული და გაუმჯობესებული ვერსია. აღნიშნული პროექტებისა და იდეების განხორციელებაში სტუდენტებს კონსულტაცია გაუწიეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობის პროგრამის ხელმძღვანელი, შოთა ბარამიძე და პროგრამის თანახელმძღვანელი, ნანა ხალვაში.</p> <p>გამოგონებების გარდა, პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ნამუშევრები თემებზე: „ზღვის მოქცევის ელექტრო სადგური“ და „მზის ენერჯის შესაძლებლობების გამოყენება“. სტუდენტებმა თემები ინგლისურ ენაზეც წარადგინეს, რაშიც მათ კონსულტაციას ინგლისური ენის მასწავლებელი, ნინო ძნელაძე უწევდა.</p> <p>ღონისძიებას პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებულები, საკრუინგო კომპანიის წარმომადგენლები/დამსაქმებლები და დარგის</p>	
--	--	--	--	---	--

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

					<p>სპეციალისტები უსწრებოდნენ.</p> <p>2. 2024 წლის 7 აგვისტოს, პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით ტრენინგს უმასპინძლა, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა. შეხვედრას, როფესიული განათლების დეპარტამენტთან ერთად, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატი გადაეცათ.</p> <p>3. 2024 წლის 18 სექტემბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე "შრომის უსაფრთხოება. ტრენინგის ფარგლებში, დამსწრეები გაეცნენ საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების გეგმას, კერძოდ, ხანძრის, მიწისძვრის, ძლიერი წვიმისა და ქარის დროს გასათვალისწინებელ ინფორმაციას. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები.</p> <p>IV კვარტალი</p> <p>1. 2024 წლის 3ოქტომბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ახალ მოსწავლეებთან/პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ჩატარეს. მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს გააცნეს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ბიბლიოთეკის სერვისები და ელექტრონული კატალოგის გამოყენების წესები.</p> <p>2. 2024 წლის 4 ოქტომბერს, გამომცემლობა „წიგნი+ერი“-ს წარმომადგენლები და თანამედროვე ქართველი მწერლები მახინჯაურის საზღვაო სკოლას ეწვივნენ. აღნიშნული ვიზიტი გამომცემლობის ტურნეს ფარგლებში შედგა. სტუმრები სკოლის მოსწავლეებს და პერსონალს შეხვედნენ. გამომცემლობის წარმომადგენლებმა ახალი გამოცემები წარადგინეს, მწერლებმა თავიანთ შემოქმედებასა და საავტორო წიგნებზე ისაუბრეს. შეხვედრის ბოლოს წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.</p> <p>3. 2024 წლის 15 ოქტომბერს, კურატორმა ნინო სამხარაძემ, მე-11ა და მე-11ბ კლასების მოსწავლეებისთვის, ჩატარა კლას-საათი თემაზე "ჩემი არჩევანი - მომავალი პროფესია". მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ ინტერაქტიული პრეზენტაციის მსვლელობის დროს.</p>	
--	--	--	--	--	---	--

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>4. 2024 წლის 23 ოქტომბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის კურატორმა სოფიო ნემსაძემ, მე-10 ბ კლასის მოსწავლეებს კლას-საათი ჩაუტარა თემაზე "ეფექტური კომუნიკაცია". მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ პრეზენტაციის მსვლელობისა და დისკუსიის დროს.</p> <p>5. 2024 წლის 28-31 ოქტომბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლაში შავი ზღვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი "შავი ზღვის კვირეული" ჩატარდა. კვირეულის ფარგლებში, მასწავლებლებმა ჩაატარეს საჯარო ლექციები შავი ზღვის ისტორიული და გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ. გარდა ამისა, მოსწავლეებმა გასვლით ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა და სანაპირო ზოლი დაასუფთავეს.</p> <p>6. 2024 წლის 31 ოქტომბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის მე-10ა კლასში ჩატარდა კლას-საათი თემაზე „მაღაღობა მოზარდებში“, რომელიც დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.</p> <p>7. 2024 წლის 31 ოქტომბერს, შავი ზღვის კვირეულის ფარგლებში, ინგლისური ენის მასწავლებელმა, ია ვერულიძემ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე "როგორ დავიცვათ შავი ზღვა დაბინძურებისგან". ლექცია დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.</p> <p>8. 2024 წლის 8 ნოემბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის მოსწავლეები დასწრნენ საჯარო ლექციას თემაზე "როგორ უწყობს ხელს საერთაშორისო ნაოსნობა და საზღვაო საზოგადოება მდგრად განვითარებას?", რომელიც ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა - გიორგი გაბედავამ ჩაატარა. ლექციაზე განხილულ იქნა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელობა მათ მიღწევაში. აღსანიშნავია, რომ საზღვაო სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი გლობალური გამოწვევების დაძლევაში, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ოკეანეების დაცვა და მდგრადი ეკონომიკური განვითარება.</p> <p>9. 2024 წლის 18 ნოემბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემოდგომის მიღების პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტები გაეცნენ არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სწავლის პროცესს და დასაქმების შესაძლებლობებს; შეხვედრენ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, მათ მიეწოდათ ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის,</p>	
--	--	--	--	--	--

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				სტუდენტური სერვისების, უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართებით. მახინჯაურის საზღვაო სკოლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. 21 ნოემბერს, მახინჯაურის საზღვაო სკოლის კურატორმა, სოფიო ნემსაძემ, მე-10ბ კლასის მოსწავლეებისთვის ჩაატარა კლას-საათი თემაზე - „ეკოლოგია ჯანმრთელობის საწინდარია (დავიცვათ სისუფთავე ყველგან)“. აღნიშნული კლას-საათის ფარგლებში, გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და დისკუსია.	
10	აქტივობა № 3.2 შემეცნებითი ღონისძიება პროფესიული სტუდენტებისთვის: „ტური ტელევიზიაში“	არ შესრულდა	-----		- დირექტორი; - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. -
-ღონისძიება 4. ლიცეუმის არსებული შესაძლებლობების (მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების, უცხო ენების შესწავლის და სხვ.) პოპულარიზაცია, ლიცეუმის სწავლების სუბიექტთა, პერსონალის და გარე პირთა დაინტერესება და ხელშეწყობა.					
11	აქტივობა № 4.1 - მომზადება - გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის შეთავაზება ლიცეუმის სწავლების სუბიექტთა, პერსონალის და გარე პირთათვის	არ შესრულდა	-----		-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. -
12	აქტივობა № 4.2 პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირებული აქტივობების ორგანიზება	არ შესრულდა	-----		-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
13	აქტივობა № 4.3 პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირებული აქტივობების ორგანიზება	შესრულებულია	----	I კვარტალი საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევა, გაანალიზებულია შედეგები და შედგენილია პერსონალის განვითარებისა და მხარდაჭერის 2024 წლის გეგმა. სამოქმედო გეგმის მიხედვით 2024 წლის 14 მარტს შედგა სამუშაო შეხვედრა, განხილული იქნა კვლევის შედეგები და დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები.	-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
14	აქტივობა № 4.4 ლიცეუმის პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირებული აქტივობების ორგანიზება	შესრულებულია	----	I კვარტალი საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევა, გაანალიზებულია შედეგები და შედგენილია პერსონალის განვითარებისა და მხარდაჭერის 2024 წლის გეგმა. სამოქმედო გეგმის მიხედვით 2024 წლის 14 მარტს შედგა სამუშაო შეხვედრა, განხილული	-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				იქნა კვლევის შედეგები და დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები.	
15	აქტივობა № 4.5 - პროფესიული სტუდენტების მიერ ინიცირებული აქტივობების განხორციელება	შესრულებულია		II კვარტალი 20 ივნისს, მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები რელიგიის მუზეუმში გამართულ ღონისძიებას „იპოვე ქალაქის გასაღები: დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში, მუზეუმში იალქიანი გემის მკვეტი „კოლხიდა“ გამოიფინა, რომელიც ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებს ეკუთვნის. აქტივობის ინიციატივა ეკუთვნის, პროფესიულ სტუდენტ მათე ქარჩავას.	-ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; -საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
-სტრატეგიული მიმართულება 2. საგანმანათლებლო საქმიანობა					
-სტრატეგიული მიზანი - ლიცეუმის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის, კონკურენტუნარიანობის და მოთხოვნადობის უზრუნველყოფა. ლიცეუმის საგანმანათლებლო საქმიანობის პოპულარიზაცია.					
-სტრატეგიული ამოცანა 2.1. კანონმდებლობასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობა;					
-ღონისძიება 1. საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შემოწმება;					
16	აქტივობა № 1.1 დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასება	შესრულებულია		I კვარტალი ჩატარდა დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა 8 დამსაქმებელი Global Marine ELSERI LTD Ialkani-S ltd GEOBRIDGEK ელვიქტორ ქრუ მენჯემენტ სერვისი შპს "იბერიის ნავიგაცია" ვალმარს ჯორჯია შპს "საზღვაო ტექსერვისი" გამოკითხვის შედეგები დადებითია. 3 საკრუინგო კომპანიის რეკომენდაციაა საკომუნიკაციო ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება	-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
17	აქტივობა № 1.2 შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება	შესრულებულია		I კვარტალი განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება გამოკითხვა 6 საკრუინგო კომპანია; GLOBAL MARINE COMPANY LTD Ialkani-S ltd GEOBRIDGEK	-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>Elseri LTD ვალმარს ჯორჯია შპს "საზღვაო ტექსერვისი" გამოკითხვის შედეგები დამაკმაყოფილებელია. გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები: გუნდური მუშაობა; თეორიის კარგი შესწავლა; უსაფრთხოების ნორმების, კონვენციები, უცხო ენების ცოდნა; საზღვაო ინგლისური ენის ცოდნა; გარემოებების ზეწოლის ქვეშ მუშაობის უნარი; გემზე ასვლის წინ სიმულატორზე მუშაობა; ცოდნის სრული და სწორი გადმოცემის უნარი; ბრძანებები საჭესთან დგომისას; ციფრული ტექნოლოგიები, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;</p>	
-ღონისძიება 2. ლიცენზიის პროგრამების ექსპერტიზა ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ;					
18	<p>აქტივობა № 2.1 საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემბანის რიგითი მეზღვაურის პროგრამის შეფასება ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტის მიერ</p>	შესრულებულია		<p>I კვარტალი საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემბანის რიგითი მეზღვაურის პროგრამის შეფასება განხორციელდა საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ „ეკვატორში“ დარგის სპეციალისტების ამირან მგელამის და ლაშა კობალავას მიერ, რომელთაც დადებითად შეაფასეს პროგრამა ყველა ასპექტში</p>	-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
19	<p>აქტივობა № 2.2 სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის შეფასება ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტის მიერ</p>	შესრულებულია		<p>I კვარტალი შემუშავდა დარგის სპეციალისტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა. იდენტიფიცირებულია ის ექსპერტები, რომლებიც შეაფასებენ პროგრამას. გრძელდება მუშაობა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით III კვარტალი სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის შეფასება განხორციელდა ადგილობრივი ექსპერტის მიერ საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ „ეკვატორში“. დარგის სპეციალისტებმა ამირან მგელამემ და ლაშა კობალავამ</p>	-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				დადებითად შეაფასეს პროგრამა ყველა ასპექტში	
-ღონისძიება 3. პროგრამების მოდიფიცირება პროგრამების სრულყოფის, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებების, მომხმარებელთა მოლოდინების, სხვ. გათვალისწინების მიზნით;					
20	აქტივობა № 3.1 ელექტრობის პროგრამაში ცვლილებების განხორციელება პროგრამების სრულყოფის, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებების, მომხმარებელთა მოლოდინების, სხვ. გათვალისწინების მიზნით;	შესრულებულია		<p>III კვარტალი</p> <p>შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-ელექტრობის პროგრამის ხელმძღვანელის შოთა ბარამიძის მოხსენება საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობაში და სასწავლო გეგმებში ცვლილებების განხორციელების შესახებ და 2019 წლის 15 თებერვლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5-ით დამტკიცებული პროგრამის სახელის ცვლილებიდან გამომდინარე გადამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელების შესაბამისად და პროგრამის განვითარების მიზნით საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობის 6 დარგობრივ მოდულში განახორციელეს ცვლილება. ცვლილება შეეხება მოდულის მე-3 დამხმარე ჩანაწერებში ინფორმაციის დაკორექტირებას. პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოაშაადეს პროგრამის ცვლილებების პროექტი. დაწესებულების ხელმძღვანელისაგან მიიღეს ნებართვა, რომ საბჭოს სხდომაზე განეხილათ პროგრამაში განვითარების მიზნით შესატანი ცვლილებები და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დაემტკიცებინათ.</p> <p>ასევე უმნიშვნელო ცვლილება შეიტანეს საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობის სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმაში ცვლილება განპირობებულია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების შედეგად.</p> <p>დაადგინეს: შევიდეს ცვლილება 2019 წლის 15 თებერვლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N4) დამტკიცებულ საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობის 6 მოდულსა და სასწავლო გეგმაში და სახელის ცვლილებიდან გამომდინარე დამტკიცდეს ახლად;</p>	-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; -პროგრამის ხელმძღვანელი.
21	აქტივობა № 3.2 საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემზანის რიგითი მეზღვაურის პროგრამაში ცვლილებების განხორციელება პროგრამების სრულყოფის, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებების,	შესრულებულია		<p>III კვარტალი</p> <p>შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემზანის რიგითი მეზღვაურის პროგრამის ხელმძღვანელის ზურაბ ახალაძის მოხსენება საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემზანის რიგითი მეზღვაურის პროგრამაში და სასწავლო გეგმებში ცვლილებების</p>	-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; -პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

	<p>მომხმარებელთა მოლოდინების, სხვ. გათვალისწინების მიზნით;</p>			<p>განხორციელების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელების შესაბამისად და პროგრამის განვითარების მიზნით საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემზანის რიგითი მეზღვაურის პროგრამის 7 დარგობრივ მოდულში განხორციელეს ცვლილება. ცვლილება შეეხება მოდულის მე-3 დამხმარე ჩანაწერებში ინფორმაციის დაკორექტირებას. პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოამზადეს პროგრამის ცვლილებების პროექტი. დაწესებულების ხელმძღვანელისაგან მიიღეს ნებართვა, რომ საბჭოს სხდომაზე განეხილათ პროგრამაში განვითარების მიზნით შეტანილი ცვლილებები და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დაემტკიცებინათ.</p> <p>მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასევე უმნიშვნელო ცვლილება შეიტანეს საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემზანის რიგითი მეზღვაურის პროგრამის სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმაში ცვლილება განპირობებულია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების შედეგად.</p> <p>დაადგინეს: შევიდეს ცვლილება 2019 წლის 15 თებერვლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N4) დამტკიცებულ საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემზანის რიგითი მეზღვაურის პროგრამის 7 მოდულსა და სასწავლო გეგმაში და სახელის ცვლილებიდან გამომდინარე დამტკიცდეს ახლად;</p>	
<p>22</p>	<p>აქტივობა № 3.3 სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამაში ცვლილებების განხორციელება პროგრამების სრულყოფის, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, დარგის სპეციალისტების მო-საზრებების, მომხმარებელთა მოლოდინების, სხვ. გათვალისწინების მიზნით;</p>	<p>შესრულებულია</p>		<p>III კვარტალი</p> <p>შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის ხელმძღვანელის ლევან ქარჩავას მოხსენება გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამაში და სასწავლო გეგმებში ცვლილებების განხორციელების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელების შესაბამისად და პროგრამის განვითარების მიზნით გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის 5 დარგობრივ მოდულში</p>	<p>-ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახური; -პროგრამის ხელმძღვანელი.</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>განახორციელეს ცვლილება. ცვლილება შეეხება მოდულის მე-3 დამხმარე ჩანაწერებში ინფორმაციის კორექტირებას. პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოამზადეს პროგრამის ცვლილებების პროექტი. დაწესებულების ხელმძღვანელისაგან მიიღეს ნებართვა, რომ საბჭოს სხდომაზე განეხილათ პროგრამაში განვითარების მიზნით შეტანილი ცვლილებები და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დაემტკიცებინათ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასევე უმნიშვნელო ცვლილება შეიტანეს გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია- გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამის სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმაში ცვლილება განპირობებულია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების შედეგად.</p> <p>დაადგინეს: შევიდეს ცვლილება 2019 წლის 15 თებერვლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N4) დამტკიცებულ გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის 6 მოდულსა და სასწავლო გეგმაში და სახელის ცვლილებიდან გამომდინარე დამტკიცდეს ახლად;</p>	
<p>-ღონისძიება 4. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (სწავლა-სწავლების მეთოდები, სწავლების სუბიექტთა განმავითარებელი შეფასებები, სწავლების ელექტრონული ტექნოლოგიები, შესასწავლ მასალასთან დისტანციური წვდომა, პროგრამების განმახორციელებელსა და სწავლების სუბიექტთა შორის ელექტრონული კომუნიკაცია და უკუკავშირი, სხვ.) გამოყენება;</p>					
23	<p>აქტივობა № 4.1 სწავლა - სწავლების მეთოდების, მათ შორის სწავლების პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა/გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება</p>	შესრულებულია		<p>I კვარტალი</p> <p>1.2024 წლის 18 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამის განმანხორციელებელი პერსონალის საჭიროებათა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა პერსონალის საჭიროების დადგენას, აღნიშნული კვლევა ჩატარდა ელექტრონულად, შედეგებზე დაყრდნობით ლიცეუმის ადმინისტრაციამ 2024 წლის იანვრიდან დაგეგმა პერსონალის განვითარების ღონისძიებები. აღნიშნულ კვლევაში ჩართული იყო 19 რესპოდენტი, რაც შეადგენს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობის -65,5%. კვალიფიკაციის მართვაში 37% არის მამრობითი სქესის, ხოლო 63% - მდედრობითი; პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგად სწავლების პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების თაობაზე დგინდება პერსონალის განვითარების შემდეგი მიმართულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ კვალიფიკაციის ამაღლების / გადამზადების კურსები, ტრენინგები და/ან მასტერ-კლასები; ▪ სტაჟირება; 	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;</p> <p>-პროგრამის ხელმძღვანელი;</p> <p>- ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<ul style="list-style-type: none"> ▪ გამოცდილი/კომპეტენტური სპეციალისტების კონსულტაციები, შეხვედრები, განხილვები; ▪ გამოცდილების გაზიარება, აქტუალური საკითხების განხილვა; ▪ პროფესიული ინტერნეტ-რესურსები; ▪ ლიცეუმში/ლიცეუმის მიერ/ლიცეუმის თანამონაწილეობით ჩატარებული მეთოდოლოგიური ღონისძიებები. <p>2024 წლისათვის რეკომენდებულია შემდეგი ტრენინგების განიზიარება:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საზღვაო განათლებისა და საზღვაო ინდუსტრიის სფეროში არსებული სიახლეები და გამოცდილება; ▪ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის კომპეტენციების განვითარებაზე; ▪ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები. <p>ყოველივე ამის გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა ლიცეუმის პერსონალის განვითარების 12 თვიანი გეგმა, დაიგეგმა გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რომლის ეტაპობრივი განხორციელება დაიწყება მომდევნო კვარტლიდან.</p> <p>2.2024 წლის 15 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სწავლა - სწავლების მეთოდების, მათ შორის სწავლების პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა მიზნად ისახავდა პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობას, არსებული მდგომარეობის შესწავლას და გამოკითხვის შედეგების შეჯამების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავება-განხორციელებას. კვლევა ჩატარდა ელექტრონული ფორმით. მასში მონაწილეობა მიიღო ლიცეუმის პროფესიული სტუდენტების 92 %.</p> <p>შეფასების შედეგების მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებული ვითარება დადებითია. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი შეადგენს 94%-ს, რაც მაღალი მაჩვენებელია, მათ შორის აღსანიშნავია პროფესიულ სტუდენტთა უმაღლესი შეფასება ისეთ კომპონენტში, როგორცაა: პროფესიულ სტუდენტთა დამოკიდებულება პროფესიული განათლების შესახებ და ლიცეუმის</p>	
--	--	--	--	---	--

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები;</p> <p>III კვარტალი შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა ასევე პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის გამოკითვის შედეგად ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის მუშაობა შეფასდა, კერძოდ: ლიცეუმის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18 რესპოდენტმა კითხვაზე- ლიცეუმში პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა ეფექტიანია გაეცა შემდეგი პასუხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 11-დიახ ეფექტიანია; • 5-ნაწილობრივ; • 2-სხვა. <p>კითხვაზე -ლიცეუმში ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით გაეცა შემდეგი პასუხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 14-დიახ მისაღებია. • 3- ნაწილობრივ; • 1-სხვა. <p>კითხვაზე: საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური სამუშაო პირობები ლიცეუმის მხრიდან (საჭირო ინვენტარი, ონლაინ პლატფორმა და ა.შ .) სრულად არის უზრუნველყოფილი გაეცა შემდეგი პასუხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 15-დიახ უზრუნველყოფილია; • 3-ნაწილობრივ. <p>პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში გამოიკითხა 349 პროფესიული სტუდენტი კითხვაზე- გთხოვთ, შეაფასეთ ლიცეუმის ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის პერსონალის მუშაობა და დამოკიდებულება თქვენს მიმართ გთხოვთ მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი</p> <ul style="list-style-type: none"> • კეთილგანწყობილია ჩვენს მიმართ-285 • სამუშაოს ვაფასებთ დადებითად-196 • ყოველთვის მზად არის ჩვენი დახმარებისთვის-183 • ვიღებთ კვალიფიციურ დახმარებას/კონსულტაციას-127 • არ არის კეთილგანწყობილი-20 • ზედაპირულად ასრულებს სამუშაოს-20 	
--	--	--	--	--	--

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<ul style="list-style-type: none"> • ნაკლებად ზრუნავს ჩვენს ხელშეწყობაზე 14 • სხვა-35 <p>IV კვარტალი შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა ასევე სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის გამოკითვის შედეგად ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის მუშაობა შეფასდა, კერძოდ: სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 42 რესპოდენტი (33,3% არის მამრობითი სქესის, ხოლო 66,7% - მდედრობითი) 2.1.8 კითხვაზე: „შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლაში პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა ეფექტიანია“</p> <ul style="list-style-type: none"> • 78,8 % • 21,4% <p>აღნიშნული კითხვიდან გამომდინარეობს, რომ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის მუშაობას აფასებს დადებითად გამოკითხულთა 78,8 % .</p> <p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში გამოიკითხა 102 პროფესიული სტუდენტი გამოკითხვისას გამოყენებული კითხვები (უშუალოდ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური) :</p> <p>3.4. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ?</p> <p>სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები არის არის დაზიანებული</p> <ul style="list-style-type: none"> • 25 სრულიად ვეთანხმები • 9 ნაწილობრივ • 4 უარყოფითად <p>სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ორგანიზებულად არის განთავსებული</p> <ul style="list-style-type: none"> • 26 სრულიად ვეთანხმები • 9 ნაწილობრივ • 4 უარყოფითად 	
--	--	--	--	--	--

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სწავლებისას. პროფესიულ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია</p> <ul style="list-style-type: none"> • 27 სრულიად ვეთანხმები • 11 ნაწილობრივ • 19 უარყოფითად <p>მატერიალურ-ტექნიკური რესურსი , სწავლების პროცესში გამოსაყენებლად კარგია</p> <ul style="list-style-type: none"> • 40 სრულიად ვეთანხმები • 15 ნაწილობრივ • 5 უარყოფითად <p>მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ნაწილი მატერიალურ ტექნიკურ რესურს მიიჩნევს არასრულყოფილად სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად, ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური ადასტურებს, რომ კომპიუტერული ტექნიკა სრულიად შეესაბამება სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.</p>	
24	<p>აქტივობა № 4.2 პროგრამების განმახორციელებელსა და სწავლების სუბიექტთა შორის ელექტრონული კომუნიკაციის ეფექტიანობის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა/გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება</p>	შესრულებულია		<p>1 კვარტალი 1.2024 წლის 15 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სწავლა - სწავლების მეთოდების, მათ შორის სწავლების პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სწავლების სუბიექტთა შორის ელექტრონული კომუნიკაციის ეფექტიანობის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. კვლევა ჩატარდა ელექტრონული ფორმით. მასში მონაწილეობდა ლიცეუმის პროფესიული სტუდენტების 92 %.</p> <p>ლიცეუმის გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 97% დადებითად აფასებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას, ხოლო 3% თვლის რომ პროცესი გასაუმჯობესებელია; ლიცეუმის გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 93% თვლის, რომ ლიცეუმის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ინფორმაციულია, 5% თავს იკავებს პასუხის გაცემისგან, ხოლო 2% თვლის რომ გასაუმჯობესებელია. შეფასების შედეგების მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებული ვითარება დადებითია. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი შეადგენს 94%-ს, რაც მაღალი მაჩვენებელია.</p> <p>2. 2024 წლის 15 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით, ადამიანური</p>	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; -პროგრამის ხელმძღვანელი; - ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>რესურსების მართვის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამის განმანხორციელებელთა კმაყოფილების კვლევა. რომელიც მიზნად ისახავდა ლიცეუმში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობას, არსებული მდგომარეობის შესწავლას და გამოკითხვის შედეგების შეჯამების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავება-განხორციელებას. კვლევაში მონაწილეობდა 17 რესპოდენტი, რაც შეადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობის 58,6%. კვლევა ჩატარდა ელექტრონულად.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებული ვითარება ძირითადად აკმაყოფილებს პროგრამების განმახორციელებელსა და სწავლების სუბიექტთა შორის ელექტრონული</p>	
25	<p>აქტივობა № 4.3 ელექტრონული სასწავლო რესურსების, მათ შორის დისტანციურად სარგებლობის ეფექტიანობის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა/გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება</p>	შესრულებულია		<p>I კვარტალი</p> <p>1.2024 წლის 15 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც მოიცავდა შემდეგ ასპექტს: ელექტრონული სასწავლო რესურსების, მათ შორის დისტანციურად სარგებლობის ეფექტიანობის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას/გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებას.</p> <p>ლიცეუმის გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 97% დადებითად აფასებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას, ხოლო 3% თვლის რომ პროცესი გასაუმჯობესებელია;</p> <p>2. 2024 წლის 15 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამის განმანხორციელებელთა კმაყოფილების კვლევა. რომელიც მიზნად ისახავდა ელექტრონული სასწავლო რესურსების, მათ შორის დისტანციურად სარგებლობის ეფექტიანობის თაობაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევას. კვლევაში მონაწილეობდა 17 რესპოდენტი, რაც შეადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობის 58,6%. კვლევა ჩატარდა ელექტრონულად.</p> <p>გამოკითხულთა 100% თვლის, რომ ლიცეუმში ინფორმირების</p>	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;</p> <p>-პროგრამის ხელმძღვანელი;</p> <p>- ბიბლიოთეკის სამსახური.</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				და პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა ეფექტიანია.	
26	<p>აქტივობა № 4.4 სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ადმინისტრირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, თანამედროვე მიდგომების დანერგვა, სრულყოფა</p>	შესრულებულია		<p>I კვარტალი 2024 წლის დასაწყისიდან განახლდა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ადმინისტრირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, თანამედროვე მიდგომების დანერგვა და სრულყოფა. პროგრამების მიხედვით ვალიდაცია გაიარა შემდეგმა შეფასების ინსტრუმენტებმა: საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -ელექტრობა: საინჟინრო ხაზვა; ელექტრონული მანქანების თვისებები და გამოყენება; ზოგადი მოდულები: ინტერპერსონალური კომუნიკაცია; მეწარმეობა 1; დარგობრივი მოდულები: გემის ტექნიკური მომსახურება; სამღებრო საქმე გემზე; სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა; სპეციალური ინგლისური გემბანის რიგითი მეზღვაურებისთვის; საწარმოო პრაქტიკა გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის; სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა; სპეციალური ინგლისური გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურებისთვის; საწარმოო პრაქტიკა გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისთვის; შემუშავდა და ვალიდაცია გაიარა საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -ელექტრობის შუალედური შეფასების შეფასების ინსტრუმენტებმა.</p> <p>III კვარტალი 2024 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელობით, სადაც განხილულ იქნა სასწავლო წლის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები, მოდულის განხორციელებისათვის კალენდარული გეგმების წარმოება-შეთანხმება, დადასტურების ფორმებთან(უწყისებთან) და დატვირთვის შესახებ ინფორმაციის გაზიარება. აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს დაევალა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ გაცნობა. აქვე, აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია გაიარა საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა-ელექტრობამ შემდეგ მოდულებში: გაცნობითი პრაქტიკა (12.09.2024), ინფორმაციული წიგნიერება (04.09.2024), ელექტრული და ელექტრონული პრინციპები (11.09.2024), ინგლისური ენა (04.09.2024), ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p>	<p>-სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; -პროგრამის ხელმძღვანელი.</p>

შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა

				<p>ელექტროობაში (13.09.2024), მათემატიკა ელექტროკოსმოსისთვის (27.09.2024); ვალიდაცია გაიარა პროგრამა საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემბანის რიგითი მეზღვაურმა შემდეგ მოდულებში: ინფორმაციული წიგნიერება (04.09.2024) რაოდენობრივი წიგნიერება (27.09.2024), ინგლისური ენა (02.09.2024), გაცნობითი პრაქტიკა გემბანის რიგითი მეზღვაურებისთვის (04.09.2024) გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა (03.09.2024); ვალიდაცია გაიარა სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამამ შემდეგ მოდულებში: ინფორმაციული წიგნიერება (04.09.2024) რაოდენობრივი წიგნიერება (27.09.2024), ინგლისური ენა (02.09.2024), გაცნობითი პრაქტიკა (04.09.2024) გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა (03.09.2024);</p> <p>IV კვარტალი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია გაიარა პროგრამების მიხედვით შემდეგმა მოდულებმა: ელექტროობა - პიროვნული და ინტერპერსონალური კომუნიკაცია - 10.10.2024, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში 13.1.2024, ელექტრული ტექნოლოგია - 27.11.2024, ლექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება - 27.11.2024. სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური: ინტერპერსონალური კომუნიკაცია, სამოქალაქო განათლება, გემის ტექნიკური მომსახურება/რემონტი, გემის სამანქანე დანადგარების ექსპლუატაცია, სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა, სპეციალური ინგლისური სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურებისთვის, საწარმოო პრაქტიკა - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისთვის. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია-საგემბანე განყოფილების რიგითი მეზღვაური: ინტერპერსონალური კომუნიკაცია-26.12.2024, სამოქალაქო განათლება-31.10.2024, ნავიგაცია დამხმარე დონზე- 28.11.2024, სამღებრო საქმე გემზე-06.12.2024, საზღვაო გზები გეოგრაფია-31.11.2024, სპეციალური ინგლისური გემბანის რიგითი მეზღვაურებისთვის - 06.11.2024</p>	
